საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 191
1877

ივერია

№ 191
1903

სექტემბერი 7, კვირა 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სექტემბერი 7, კვირა 1903 წ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგას „ივერია“ აღარ ეგზავნება.

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით–6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს გარდაცვალებულის

ავქსენტი ცაგარლის

ნაცნობთ და პატივისმცემელთ, რომ განსვენებულის სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება კვირას, 7 ენკენისთვეს, ქვაშვეთის ეკლესიაში.

ნატალია გაბუნია-ცაგარლისა აუწყებს გარდაცვალებულის საყვარელის მეუღლის

ავქსენტი ცაგარლის

ნათესავთ და პატივისმცემელთ, რომ განსვენებულის სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება კვირას, 7 ენკენისთვეს, ქვაშვეთის ეკლესიაში.

კნეინა ერნესტინა დადიანისა, კნ. ეკატერინე ილიას ასული დადიანისა იულონ და იოსებ დადიანები და კნ. ელენე წულუკიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვლებასა პირველი ქმრისასა, მეორე—მამისასა და უკანასკნელნი—ძმისა თვისისა

თავადის ილია იულონის ძის დადიანისას

და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის დასაფლავებაზე 7 სექტემბერს სოფ. მოიდანახეს ქუთაისის გუბერნიაში, ზუგდიდის მაზრა.

(3—199—3)

ქირარდის მანუფაქტურების საქ. საზ. საწყობი
სასახლისი ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა
მრავლად მიღებულია საზაფხულოდ სეზონისათვის

საქალო მატერები: ბატისტი, სატინა, მუსლინი, კრისტა, ლინი, არჟუან ტინი, მერველიე, ბრომე, ბროდე ზილიანი, პლიუმტი, ლევანტინ-ფულიარი, ფერადი ტილო.

საკიტელო მატერიები: კოლომენკა, რაგოზა, ეშმაკის ტყავი-მოლესკინი, პარუსინა გიმნაზიელთა ბლუზებისათვის.

საფარდეგო ტილო და ტიკი ფარდებისა და მარკიზებისათვის

საბანაო ზეწრები, ხალათები და სხვა კუთვნილებანი

ნიმუშები უფასოდ ეგზავნებათ მსურველთ.

დონერი და ლეიტცი

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ

14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.

162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

მოსკოვის კონსერვატორია-დამთავრებული თეორეტიკა

ზაქ. ფალიაშვილი

აძლევს გაკვეთილებს, სამუსიკო თეორიისას და ფორტეპიანოზედ პეტერბურგის და მოსკოვის კონსერვატორიების პროგრამით.

ადრესი: იზმაილოვის ქუჩა, ხელაევის სახლი, № 43, ანუ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. (3—6—2)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. —7-მდის. (წლ.)

ხეხილის ნერგები

საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი, საუკეთესო ხარისხისა, იყიდება ზომიერ ფასად **ფარსადან იაკ. აგსარქისოვის** მამულში. ადრესი: უბრალო წერილებისათვის—**სკრა კავ. რკ.-გზის სადგური.** ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისათვის: **ქ. გორში ფარ. იაკ. აგსარქისოვს.**

კატალოგები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ. (11—195—2)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჰიჰინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—შაბათობით და კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთანდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აფეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7^{1}/_{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. $8^{1}/_{2}$–8 ს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი

კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში გუშინ, 6 სექდემბერს, პანაშვიდი გადიხადეს განსვენებულ ნიკოლოოზ იაგორის ძის ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ქალაქის მოურავი, გამგეობის წევრნი, ხმოსნები, მოხელენი, მწერლობის წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი. როგორც მკიუხველებმა უწყიან, განსვენებულმა ნ. ზუბალაშვილმა დიდი თანხა შესწირა ქალაქს ღატაკთა თავშესაფარ სახლის ასაშენებლად.

მთავარ-მართებლის კანცელარიის ვიცე-დირექტორად გამწესდა ამავე კანცელარიის საქმის მწარმოებელი ნ. მაქსიმოვი, რომელიც წინად სენაკის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ იყო და შემდეგ სამოსამართლო ნაწილის გამგედ გადმოიყვანეს მთავარ-მართებლის კანცელარიაში.

ეპისკოპოზი ალავერდისა დიმტრი კახეთს გაემგზავრა. 8 სექდემბერს, ღვთის მშობლის დაბადების დღეს, შუამთის მონასტერში სწირავს და შემდეგ ალავერდის მონასტრისაკენ წავა.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების პირველი კრება, ზაფხულს შემდეგ, 15 სექდემბერს იქმნება, პარასკევს.

ჩვენ მივიღეთ მეშვიდე (ივლისის) წიგნი ჟურნალ „მოამბისა“, რომელშიაც სულ ხუთი წერილია დასტამბული, სამი ნათარგმნი, ორი ორიგინალური: შოთა რუსთაველი და მისი პოემა—ს. ქვარიანისა და ორიოდე სიტყვა სვანურ ენის შესახებ—ბლ. მღვ. ივ. მარგიანისა.

ქალაქის გამგეობამ იჯარით გასცა 23 ნაჭერი მიწა ნაძალადევში, თანხმად გამგეობაში მომხდარ ვაჭრობისა; ხოლო 13 ნაჭერი გაუცემელი დარჩა და მეორე ვაჭრობა იქმნება დანიშნული.

ნუხის მაზრაში 30 აგვისტოს ავაზაკებს გაუძარცავთ ქალაქისაკენ გზად მიმავალი სომხის არქიმანდრიტი თადეოსი, ჩალეთის მონასტრის წინამძღვარი. ავაზაკებს არქიმანდრიტისათვის კუნკულაც კი წაურმევიათ.

გუშინ ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში კენჭი უყარეს იმ ბავშვებს, რომელნიც თავად-აზნაურთა თანხიდგან სტიპენდიას თხოულობდნენ. წელს მხოლოდ ორი ვაკანსია იყო. კენჭი ჰხვდა გიორგი გაბრიელის ძეს ზაალიშვილსა (გორის მაზრელია) და ვლადიმერ ლუარსაბის ძე ფავლენიშვილსა (დუშეთის მაზრელია).

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობა, ჯერ ისევ ვედენეევის დროს, აპირებდა ლიანდაგზე მოძრავ სამკითხველო-წიგნთ-საცავების დაარსებას. ამ ჟამად რკინის გზის გამგეობა სარგებლობს იმ გარემოებით, რომ მთავარ ბუჰალტერს ბ-ნ ა. პუშკარიოვს 35 წელიწადი უსრულდება, რაც იგი მსახურობს და იმის პატივსაცემად აარსებს მოძრავ სამკითხველო-წიგნთ-საცავს. ამ საქმეს 2000 მანათზე მეტი სჭირდება. ამ თანხის შესადგენად გუშინ, 5 სექდემბერს, გამგეობისა და განყოფილებათა მოსამსახურეთა შორის ხელის მოწერა გაჰმართეს. რაც დააკლდება ამ თანხას, იმას გამგეობა შეავსებს.

დუშეთიდგან ატყობინებენ „ცნ. ფურც.“-ს, რომ მოქალაქეთა და მაზრის მცხოვრებთა შორის ხელის მოწერა გაიმართა ოთხ-კლასიან საქალაქო სასწავლებლის დასაარსებლადათ.

რკინის გზის ნავთის აუზების გადატანა ბათუმიდან ქობულეთს დაიწყება მომავლის წლის დამდეგს.

ბათუმის გიმნაზიაში წელს მერვე კლასი დაარსდა.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესია დაიწყებს ბათუმში საქმეების განხილვას 9 სექდემბერს და გაათავებს 13 სექდემბერს.

სოხუმში დაბრუნდა პოლიცმეისტერი კაპიტანი რიხტერი და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

მომავალ წლიდან გადაწყვეტილია გაამრავლიან შტატი სააქციზო ზედამხედველებისა და კონტროლიერებისა ამიერ-კავკასიაში.

1904 წლის იანვრიდან გადაუწყვეტიათ გააუქმონ რკინის გზათა შემნახველი კასები საჯევახოსა, სუფსასა, ქობულეთსა, სამტრედიასა და ფოთში.

მოგვივიდა ჟურნალ ჯეჯილის **VII** და **VIII** ნომერი შემდეგის შინაარსით: 1) მეფის ვაჟი გ. წყალტუბელისა; 2) დიდა სოფელში—ლექსი შ. მღვიმელისა; 3) მეურმე და საქონელი (იგავი) ალ. მირიანაშვილისა; 4) მელია და კატა (ზღაპ. გრიმისა) თარ. ბ—გელაზანიასია; 5) თავდები—ისტორიული მოთხრობა ბაბი და ლო...სი; 6) ობობა (ოლივერ გოლდსმიტიდან) გ. შატბერაშვილისა; 7) მეჩექმე (იგავი) ალ. მირიანაშვილისა; 8) ოქროს კვერცხის მდებელი ქათამი (ფრანგულიდან) ეკ. მესხისა; 9) ბავშვის აღერსი (თარგ). ? დემურიასი; 10) ღამის თევა—ლექსი ა..კისა; 11) ირას მთის მელია (ფრანგულიდან). 12) არახნა (ოვიდიუსადან) ა. ყუმისთაველისა; 13) ინგლისის პოეტი გიორგი კრაბბი (რუსულიდან) ან. წერეთლისა; 14) ძველი ისტორია (ერნესტ ლავისისა) საშუალო საუკუნე, თარ. ნ. შენგელიასი; 15) წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, არითმეტიკული გამოცანა, შარადა, რებუსი და სხვა...

ჩვენებური ამბები

მუხრანი. ჩვენსკენ, როგორც ამას წინად გვქონდა მოხსენებული, ვენახებმა ძლიერ იტყუეს. ამის მიზეზი უფრო უწესოდ წამლობაა. სეტყვამაც ცოტათი კლანჭი გაჰკრა, ასე რომ მოსავალი ერთ მესამედს ძლივს-ღა უდრის. ამას ვიდა სჩივის, რაც დარჩა, ამასაც მკვახეს ჰკრეფავენ და, აბა, რაღა ღვინო უნდა დადგეს. საუფლისწულო მამულებში სთველი 25 მარიამობისთვეს დაიწყეს. ამათ ბევრმა მიჰბაძა და დანარჩენებიც იძულებულნი არიან დაჰკრიფონ მკვახე ყურძენი. ხალხში უკმაყოფილება გაისმის, მაგრამ ვინ უგდებს ყურს; მხოლოდ ეხლა იგონებენ განსვენებულ მუხრან-ბატონებს, რომლებიც გვიან ჰკრეფდნენ და მოწეულ ყურძნის ღვინო კარგ ფასადაც იყიდებოდა.

წლეულ-კი არა მგონია ჩვენს სოფელს ღვინის მუშტარი ჰყავდეს, რადგან ძლიერ მჟავე ღვინო დადგება. კარგს იზამდა საუფლის-წულო მამულების მმართველობა ნაოთხალის ვენახების პატრონებს მაინც დააცლიდეს, რომ მოწეული ყურძენი დაჰკრიფონ.

ვანო.

გურია. ვინ არ იცის, რომ ჩვენი დალოცვილი ქვეყანა სხვა-და-სხვა მადნებით მდიდარია. ბევრს ადგილას აღმოჩენილა უტყუარი ნიშნები მადნისა, მაგრამ წარმოება-კი არ დაუწყიათ. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ის არის, რომ თვით მადნების პატრონები ვერ არიან ვერც ქონებრივად და ვერც ცოდნით მომზადებულნი, რომ მათ ადგილში აღმოჩენილი მადანი თვითვე აწარმოვონ. მამულებს

ძლევენ სხვებს იჯარით და თვითონ-კი, უკეთუ მადანი აღმოჩნდა, „თხის კუდს" სჯერდებიან. უცხოელი კაპიტალისტებიც ერთს შეფხაკურდებიან, აღმოაჩენენ ნიშნებს, ადგენენ გეგმებს სხვა-და-სხვა ნაირს გამდიდრებისას (რასაკვირველია თვალთმაქცობენ). მიიქცევენ სხვა უცხო მადნების პატრონების ყურადღებას, აიღებენ მათგან საკმაო სასყიდელს და წარმოებას თავს ანებებენ... ამ გვარი ბედი ეწია ნავთს, მიქელ-გაბრიელის ასფალტს. (თავადი ნაკაშიძე აწარმოებდა, მაგრამ უფულობის გამო შეჩერა მუშაობა, წარმოება), ნატნების მარსელიულს კრამიტს და სხვას. გურიაში მიქელ-გაბრიელის და ხვარბეთის საზოგადოებაში სამთო მადნის ინჟენერმა თავ. წულიკიძემ ნამდვილი ნიშნები აღმოაჩინა „მთის ფისისა", მაგრამ წარმოება ჯერ არავის დაუწყვია, თუმცა მას შემდეგ აგერ ათი წელიწადიც გადის, რაც ადგილებიც კი დაიჭირეს.

წელს კიდევ თავ. რ. ჯავახიშვილმა დაიჭირა რამოდენიმე ადგილი (მიწები) „მთის ფისისა" საწარმოებლად. ნიშნები კარგია: 1000 ფუთზედ მეტი ამოიღო კიდეც, და ვნახოთ განაგრძობს მუშაობას თუ არა? კარგი სამადნო ადგილები აქვთ ბ.ბ. ნიკო ბაქნიძეს, კონსტანტინე ნინიძეს, აზნაურთ ნესტორ და სევერიანე ქარცივაძეებს ნატანების სადგურთან ორი ვერსის მანძილზედ სოფ. „სამხთოში". შემოქმედის საზოგადოებაშიაც იგირავებენ კაპიტალისტები მიწებს, საცა მათის აზრით, ჰგონებენ—მადანი უნდა იყოს. დიდ აღტაცებაში არიან აგრეთვე სოფ. უჩხუბელები (ოზურგეთიდან 7—8 ვერსზეა), საცა შავი ქვის ნიშნები აღმოჩნდა. აქაც უცხოელი ინჟინრები იგირავებენ მიწებს.

ყოველივე ეს დიდს იმედს იძლევა, რომ ერთ დროს, დღეს ეკონომიურად წელში მოხრილი გურული გლეხ-კაცობა, წელში გაიმართება და ეზოშივე სამუშაოს გაიჩენს. ვნახოთ, ბოლო რა იქნება. ამ ხშირი მიწების დაგირავებით სხვა თუ არავინ გამდიდრდა ბ-ნი ოზურგეთის ნოტარიუსი ხომ მაინც კაპიტალისტი შეიქნება.

ალექსანდრე ჩხარტიშვილი.

—

ს. მეჯვრისხევი (ქართლი). ამ ზაფხულს მობძანდა აქ გორის მაზრის უფროსი ბ-ნი მიტკევიჩი. კვირა დღე იყო და ხალხიც დაბარებული იყო მეჯვრისხევის სამამასახლისოში. უფროსმა ჰკითხა ხალხს, გინდათ ექიმი თუ არაო.—ხალხმა უპასუხა: არც ექიმი გვინდა,—არც მამასახლისი და არც სკოლა. —ერთმა კაცმა დაიძახა, მამასახლისიც გვინდა—და ყველაფერი. მერე მიუბრუნდა ხალხს და დაიძახა: თქვენ რაც გინდათ,—ის მოახსენეთ. მაგრამ ხალხმა არაფერი თქვა და იმ გლეხ-კაცს დაუწყეს ბღვერა. უფროსი წავიდა გორს. ხალხს ვკითხე, რა ამბავია მეთქი. ხალხი გულ-ნატკენი ამბობდა, ჩვენ იმიტომ მოვახსენეთ უფროსს, არ გვინდა არც ექიმი, არც მამასახლისი, რომ ჩვენ გვეგონა გამოიძიებდა და გვკითხავდა, რა მიზეზია და რად ვეუბნებით უარს, მაგრამ არ გვალაპარაკეს.

ჩვენ ვართ ათას-ორასი კომლი ახალის კამერალიით და თითო მოსახლე იხდის წელიწადში ცხრა მანეთამდე სდგება თერთმეტი ათასი მანეთი. აბა, გვიბძანეთ, მაგდენი ფული სად მიდის? გაანგარიშოთ. ვსთქვათ, მამასახლისს დავუნიშნოთ ჯამაგირი ერთის წლისა 400 მანეთი, ორს იმის ჩაფარს 360 მანეთი,—თვეში თხუთმეტი მანეთი თითოს. (ჩვენ გვართმევენ მამასახლისის ფულს ორ-ორ მანეთს კომლზედ). ექიმის ფული, 1200 მანეთი, ფერშლის ჯამაგირი 240 მან., წამლების ფული წელიწადში 300 მან. სკოლის ფული, ბევრი-ბევრი 1000 მანეთი. მამასახლისის პომოშნიკების ფულს თითო კომლზედ ათ შაურს იღებენ. იმათ, ვთქვათ, წელიწადში 200 მანეთი. ერთის სიტყვით ბევრი-ბევრი ოთხასი ან ხუთასი თუმანი შესდგეს. მაგ ფულით როგორ ვერ შევინახავთ ყველას და დანარჩენი ფული სად მიდის, ან ვინა სჭამს? აი ჩვენი თხოვნა-და ლაპარაკი რა გახლავთ. სულ მაგაზედ ვტირით დიდი თუ პატარა, რომ გამოგზავნონ ვინმე და გამოიძიონ. თუ ხაზინაში შედის, რას გვერჩიან, მეტს რად გვართმევენ? რაც ხაზინიდგან დანიშნული არის, ის სულ შეგვაქვს და აგრეთვე ნადელებისა, ან მიწის „ოცენკისა". მაგის გარდა კიდევ გვახდევინებენ ცხრა მანეთამდე ყოველს მოსახლეს, აბა, რა უბედურობა არის ჩვენ თავზედ. ახლა ბეგარა კიდევ სხვა არის. ერთის სიტყვით, არ ვიცით, როგორ ვუშველოთ ჩვენს თავს, ან როგორ მოვუაროთ ჩვენს ცოლსა და შვილს? კარგად ვიცით, რომ ამ ჩვენ ექიმს ექვსი თვეა რაც ჯამაგირი არ მიუღია და ისიც ვიცით, რომ ფული მოკრეფილი არის—800 მან. და სად წავიდა? ჩვენ-კი მეორეთ უნდა გადავიხადოთ. აბა, სამართალი სად არის?! ექიმისა ძალიან მადლიერნი ვართ და კარგი ექიმიც არის. დღეში ოც კაცამდე მიდის იმასთან და სუყველას წამალს აძლევს, არიგებს და ისე ისტუმრებს.

ახლა შევიტყეთ, რომ ეგ ჩვენი ექიმი სადღაც გადაიყვანეს. თვითონვე მიუცია ქაღალდი, ან ჯამაგირი მომეცით—და ან აქედან გადამიყვანეთ სადმეო. მთავრობამ ახლა სხვა გადმოიყვანა. განა ის-კი უჯამაგიროდ გვემსახურება?

რამდენჯერ გვიჩივლია ყოველ ამ ჩვენს საჭიროებაზედ და პასუხი არაფერი გვაღირსეს. თუ დანიშნავენ ვისმე და ყველაფერს დაწვრილებით შეიტყობენ, სწორედ ჩვენს მადლს მოისხავენ. ბევრმა თავადიშვილმა და აზნაურმა შემოაწიეს „ბალნიცას" ფული და არც ისა სჩანს.

უსინეთობას მეჯვრისხევში დიდი ხალხი მოდის სალოცავად. ორი კვირა აქ იარმუკასავით არის. ჩვენებურ კაცებს გამოაქვთ გასასყიდათ ზოგს ღვინო, ზოგს—მარილი, ხილი, ფიცარი, შუშა და სხვა. ვისაც-კი ადგილი აქვს დაჭერილი, თითოს მანეთ ფულს ართმევენ და სად მიდის ის ფული, ღმერთმან იცის.—

ასე ჩივიან გლეხები და არავინ ყურს არ უგდებს მათს მწუხარებასა და გოდებას. სასურველია, რომ გორის მაზრის მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ყოველსავე ამას.

აქაური.

რუსეთი

გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა ამ წლის დამლევს მოუწოდოს პირველს კრებას რკინის გზების იურისკონსულტებისას. ამ აზრით გადაიდო სამასი თუმანი სხვა-და-და-სხვა მოსამზადებელ საქმეთა მოსაგვარებლად.

— ამ შემოდგომაზედ დაიწყება პეტერბურგში ქალაქის ხმოსნების არჩევნები. ამ ხრჩევნებში პირველად მიიღებენ მონაწილეობას ბინა-სადგურის ის დამქირავებულნი, რომელნიც ამისათვის ცალკე გარდასახადს იხდიან. იმედი აქვთ, რომ ასეთი წესი საქალაქო არჩევნებისა შემოღებულ იქმნება სხვა ქალაქებშიაც და, საცა ბინის დამქირავებელნი იხდიან სადგურის გადასახადს, იქ უფლებაც ექმნებათ მონაწილეობა მიიღონ ხმოსანთა არჩევნებში.

— გზათა სამინისტრომ საჭიროდ დაინახა, ყოველ სამს წელში ერთხელ აღწერა მოახდინოს ხოლმე რკინის გზის მოსამსახურეთა.

— 1903 წელს იანვრიდან მაისამდე ტყის შემოსავალი ხაზინას შესვლია 24 მილიონზე მეტი—სამი მილიონით მეტი ვიდრე შარშან.

— 31 აგვისტოს იდღესასწაულეს 25 წლის თავი ფიდლერის სალიტერატურო მოღვაწეობისა. ფიდლერი თარგმნიდა რუსეთის პოეტებს გერმანულად და აცნობდა რუსეთის პოეტებს და მათს პოეზიას გერმანელთა საზოგადოებას. ფიდლერმა გადათარგმნა ლექსნი პუშკინისა, ლერმონტოვისა, კოლცოვისა, ნიკიტინისა, ა. ტოლსტოისა, ნადსონისა, ფოფანოვისა და სხ. პირველი კრებული ფიდლერის მიერ ნათარგმნ ლექსებისა დაიბეჭდა 1878 წელს.

— ერთმა გაათავა წელს მღვდლად პეტერბურგის სასულიერო აკადემია და ახლა სთხოვს სამხედრო მინისტრს, ნება მიბოძეთ სამხედრო სამკურნალო აკადემიის სტუდენტად ჩავირიცხოვო.

— ვარშავაში ახალის გაზეთის ბეჭდვა დაიწყეს დღეში ორჯელ. დილის გაზეთს სხვა სახელი აქვს და საღამოსას სხვა. ამ სეკდემბერში ეს გაზეთი უსასყიდლოდ ეგზავნება ყოველს, ვისაც სურს მისი გაცნობა. მსურველი აღმოჩენილა 100,000 კაცი.

— კიევის პოლიციას გამოსცხადებია ვილაც დაგლეჯილ-დაფლეთილი, შეწუხებული ყმაწვილი კაცი და უთქვამს, რომ მე აზნაურიშვილი ვარ, ტიტოვი, აქედანა ბ აქედანაო, ბევრი დანაშაული მოვიქმედე, სვინიდისი მაწუხებს და დამაპატიმრეთო. 1896 წელს როსტოვში შემხვდა ერთი კაცი და მისი ახალგაზდა და. წავედით მინდორში და ვსვით არაყი. ძმამ თავი დაგვანება. შეზარხოშებულმა დავუწყე არშიყობა დას, მაგრამ არ დამნებდა. ამოვიღე რევოლვერი და იქვე გავათავე, ისე ვიწყინე იმისი უარი. მე წავედი სხვა ქალაქში და ხან კანტორშჩიკად ვიყავ, ხან მუშად. ორის წლის უკან მივედი ეკატერინოსლავს. იქ ბულვარზედ გავიცანი ყმაწვილი გასათხოვარი ქალი მარიამ კრაუზე, დაუხლოვდი და ორს თვეს ერთად ვსცხოვრობდით. მერე ღალატი შევამჩნიე, წავიყვანე მინდორში და დავუწყე მხილება. იმან თავის მართლება დაიწყო, მაგრამ ამოვიღე დანა, დავკარი შიგ გულში და იქვე გავათავე, მერე ვკარი ხელი და წყალში გადავაგდე.

პოლიცია გაჭირვებაშია, არ იცის, დაუჯეროს ამ კაცს, რასაც ამბობს თუ არა. ყმაწვილი კაცი სრულს ჭკუაზეა, რიგიანად ლაპარაკობს და აზროვნება წესიერი აქვს, ისეთი, როგორც ყოველს გონებასალს ადამიანს.

უცხოეთი

ოსმალეთი. ოსმალეთის მთავრობამ მაკედონიაში პროკლამაციები გააკრა ოსმალურსა და ბულგარულ ენაზედ. ამ პროკლამაციებით მთავრობა იწვევს მცხოვრებთ,—თქვენს სახლ-კარს დაუბრუნდითო. ბიტოლიაში კომიტეტმა საპასუხო პროკლამაციები გამოჰკიდა ღამით; ამ პროკლამაციებში კომიტეტი აღნიშნავს ოსმალთა ყველა ბოროტ-მოქმედებას და აცხადებს, ჩვენი კომიტეტი სამაგიეროს მოგიზღავთო.

ხილმი-ფაშამ ბრძანება გასცა,—კომიტეტის პროკლამაციები ჩამოჰხიეთო, ქალაქის ბულგართა უბანში ბულგარები სულ დააპატიმრეთ და მათი სახლები გაჩხრიკეთო. გაჩხრეკის დროს ვერაფერი იპოვეს. გაზ. „ფრანკ. ცეიტ."-ის სიტყვით, სოლუნს მისულა სტამბოლიდან გამოძევებული 1200 ბულგარი, რომელნიც თავ-თავიანთ სოფელში უნდა დააბინაონ. ერთი ნაწილი ამ გაძევებულთა რკინის გზით ბიტოლიის მახლობლად სუროვიჩევოს მივიდა; ვაგონებიდან გამოსვლის დროს თავს დაესხნენ ბაშიბუზუკები და სრულიად ამოჟლიტეს.

— გაზ. „სტანდარტი" ბრალსა სდებს ბულგარიის მინისტრებს,—ნაღმის აფეთქების განზრახვა ყოველთვის წინადვე იცოდითო. ერთმა მინისტრმა თავისი მეგობარი სტამბოლს არ გაუშვა; მხოლოდ რამდენისამე დღის შემდეგ აცნობა,—ახლაკი თამამად შეგიძლიან წასვლაო.

— „ავტონომია" აცხადებს,—მეამბოხეებმა ლაზენგრადის ოლქის სოფ. საზარას განადგურებით ოსმალებს მიუზღეს ათასგვარ ბოროტ-მოქმედებისა და ხოცვა-რბევის სამაგიეროვო. საზარაში მეამბოხეებმა დასწვეს ზოგი სახლი და ხელჩართულ ბრძოლაში ბევრი მამა-კაცი მოჰკლეს. მეამბოხეთა მოქმედება ამით გათავდაო. იმავე გაზეთის სიტყვით, მეამბოხენი დასცემიან შავი ზღვის პირად მდებარე სოფ. ინიადას და ნაღმითა და ცეცხლით მიწასთან გაუსწორებიათ. მაკედონიაში, სმოლევოს მახლობლად მომხდარ ბრძოლის შესახებ „ავტონომია" იუწყება, დანამდვილებით ვიცით, რომ სმოლევოს მახლობლად 8,000 ოსმალოს ჯარის-კაცი ებრძოდა მეამბოხეთაო. ბრძოლამ სრულ ოცდა თვრამეტ საათს გასტანა. ოსმალები ძალიან დამარცხდნენ. თვით ოსმალნი აღიარებენ, ბიტოლიის ილავეების ბანაკი სრულიად ჟიკლესო. მეორე ბანაკიდან მხოლოდ 70 კაცი გადარჩაო. სამაგიეროდ ოსმალებმა გადასწვეს სოფლები სმოლევო და მეტიმერი; შეიტყეს თუ არა ეს ამბავი, ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი დედაკაცნი და ბავშვნი სმოლეოვოს ტყეს შეეფარნენო, ოსმალებმა ტყეს ჯერ თოფ-ზარბაზანი დაუშინეს და მერე ცეცხლი წაუკიდესო.

— გაზ. „ბერლ. ტაგ."-ს ვენიდან აუწყებენ, ბალკანეთის საქმეებს აქ უფრო და უფრო ყურადღებით ექცევიანო. ყველანი დარწმუნებულნი არიან, პორტა ამბოხების ჩაქრობას ვერ შესძლებსო; პოლიტიკოსთა შორის ლაპარაკობენ, იქნება უმჯობესი იყოს ამ მდგომარეობის გამოსასვლელად, რომ ოსმალეთსა და ბულგარიას შორის ომი ასტყდესო. დარწმუნებულნი არიან, რომ ოსმალეთი ამის უარს არ იტყვის, იუწყებიან,—სამხრეთუნგრეთში აღლუმზე ოსმალეთის სამხედ-

---

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

XXI

ფელეტონი

ზოგიერთების აღსარება.

ცხოვრება ხომ ბრძოლა არის
და მეც ვიბრძვი მამაცურად;
ბურთი ლელოს გავიტანე,
ყველას კლანჭი გავკარ მგლურად,
მშიერს სიმშილს დამცინოდნენ...
აქეთ ვეცი, იქით ვეცი,
გროშობანა მოვაგროვე,
რომელსაც თან მოჰყვა ქეცი.
უკვდავ ნიჭით ბევრი ვინმე
გავაბრიყვე, შევაცდინე,
კუდ-ქიცინა მელა-კუდამ
თვალთგან ცრემლი ბევრს ვადინე.

—

მაგრამ საქმე ფულია,
ფულმა ატკბობს სულია!..
ბედი მაღლად მიბრწყინავს,
საქმეც გაჩარხულია;
იშტაიაც გამეხსნა,
ფლავიც მოხარშულია!

—

მე, რომელიც მზადა ვარ, რომ
მთლად ქვეყანა გავატყავო,—
ზიზღით უნდა მიყურებდნენ!?.
ვაი, ხალხო საცოდავო!!.
მაგრამ მაცათ, დიდი აზრი
სუფევს ჩემში,—იცით თქვენა?!
ყველა უნდა ჯვარს გავაკრა,
ვინც გაბედა ჩემი წყენა.
ჯერ-ჯერობით ვვაჭრობ ასე:
ხან ქართულად, ხან სომხურად...
თუ გავმდიდრდი!—მაშინ უფრო
გავყვლეფავ ხალხს ოსტატურად.

—

იცით, საქმე ფულია!
ფულმა ატკბობს სულია...
ბედი მაღლად მიბრწყინავს,
საქმეც გაჩარხულია;
იშტაიაც გამეხსნა,
ფლავიც მოხარშულია!..

—

მთლად სულყველას ვეჯავრები,
მეც ამიტომ არვინ მიყვარს;
იმათ რაა, დალოცვილებს,
თუ სული და გული მიყარს!..
ღმერთო ჩემო! რა ხალხია!
კაცს უშლიან თვალთმაქცობას,
მაგრამ ცოტა დამაცადონ.
ვუჩვენებ ჩემს მამაცობას,
იქნება არ გაუგიათ:
ექვსგანა მაქვს სვავის ბუდე,
ყველას დავჟლეთ, გავამტვერებ,
თუ ჩქარა არ გავიგუდე.

—

ჯერ კი საქმე ფულია!
ფულმა ატკბობს სულია!..
ბედი მაღლა მიბრწყინავს,
საქმეც გაჩარხულია;
იშტაიაც გამეხსნა,
ფლავიც მოხარშულია.

ბ. ოჯახ-კეტიანი.

—

ცხელ-ცხელი ამბები

გულ-წრფელ სიტყვას ლილახანა გაუცვდა; არც პატიოსნებას აქვს გასავალი; პირდაპირ ლაპარაკი ხომ ჩალის ფასადაც აღარა ღირს!.. შენს უზადო აზრს მსმენელნი თავისებურს კუდს გამოაბამენ, გამოგშუშპრამენ!..

როგორც ყოველ მოვლენას, ამასაც, რასაკვირველია, თავისი მიზეზი აქვს: „შენ" როგორ გაბედე და ამა თუ იმ საგანზე ხმა ამოიღე, რომელი რა „დიდი" ვინმე ხარ? რა შენი „საქმეაო„? აი მიზეზი. ასე რომ, თუ „დიდი" ვინმე არა ხარ, „დიდათ" არ გიცნობენ—შენს ჭეშმარიტს აზრსაც გასავალი არა აქვს...

აზრი, მიმართულება, წმიდათა წმიდა, გულ-წრფელობა სულ ფუუჰ! „ყველა ეს გახვრეტილ აბაზადაც არა ღირს!.." ალბად ამის ბრალია, რომ სიტყვით თუ ვერ გაგცეს პასუხი, სამაგიეროს მუშტით მოგიზღავენ... აზროვნება მუშტი-კრივით იწყება, სისხლის თქრიალით თავდება და.. ვისაც ძალა შესწევს, სამართალიც იმას სწყალობს...

⁂

ზოგიერთი ჩვენი მამულიშვილიც არა ნაკლებ სწყალობს თავის სამშობლო მწიგნობრობასა და ენას.

აი როგორ: ამ ახლო ხანში „ქ. შ. წ. კ. გამ. საზ." საზოგადო კრებაზე ბ-ნი დიდგვარაშვილი, ჩვენი თანამემამულე, ნასწავლი-დიპლომოსანი, აპირობდა მოკლე სიტყვის წარმოთქმას... რუსულად, რადგანაც ქართული ვერ მოუხერხებია. სამშობლო ენაზე იცის მხოლოდ „დედაძაღლო", „მამაძაღლო". ესენიც პატარაობისას განსვენებულს „მამაშა-პაპაშასაგან" შეუსწავლია. საზოგადოება დიდს მზადებაშია და ამ თავითვე თარჯიმანი დაუქირავებია, რათა ბ-ნ დიდგვარიშვილის სიტყვა დამსწრეთ ქართულად გადუთარგმნოს „მომავლისა ნაშთად და ძეგლად!."

* *

გასულ კვირის ფელეტონი ზოგიერთებს ვერაფრად სჭამნიკებიათ—„ეგრე სასტიკად კიცხვა-კილვა როგორ შეიძლებაო. ჩვენ თითქმის ყველანი ერთნაირნი ვართ—ფარისეველნი, მძარცველნი, ფლიდნი, მატყუარნი, წმიდათა წმიდის გამყიდველნი და სხ. რა საჭიროა გამომზევება? არა სჯობია ჩვენთვის სიბნელეში ვიმოქმედოთო?! ვიდრე ქვეყანა ბრმაა-ვატყუოთ, სანამ ხალხი შეუგნებელია—ვპარსოთო. უნდა მოგახსენოთ, რომ „გონიერსა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს!". „ის ზოგიერთი" ადგილები თქვენ თუ ვერ გაიგეთ—მე სულაც ვერ ვიცანი—ჩემია თუ სხვისა? იმდენად შეკრეჭილ-შემოკრეჭილია. ჩემის ამბების ბუნდოვანების მიზეზები მრავალია: პირველი თვით ჩვენი ცხოვრება ბუნდოვანი და ჯანღ-ბურუსით მოცულია; მეორე—წითელი მელანი, მესამე მაკრატელი და სხვანი და სხვანი.

მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ: სხვა-დასხვა „მიმართულება—მოძღვრებათა" მიმდევარნი შეგვემატნენ და იქნება იმათ გაგვიუმჯობესონ მწარე ცხოვრება... მაგრამ... ეჰ, კიდევ მაგრამ... ამ „მიმართულება-მოძღვრებაზე" შემდეგ მოგელაპარაკებით, თორემ „შურდულის" რედაქტორს მაკრატელის ხმარება ძიელ კარგად სცოდნია—თხასავით გამკრეჭს.

უსუფ-უმუთ-ოღლი

—

ტფილისი

— „ტფილისის ფურცლის" ახალი ვარსკვლავი, ღირსეული შვილი უძღების ზოილისა, ბ-ნი „Д. В--ъ" ტფილისში ჩამოსულა და ბ-ნ კორხანიძისგან ქართულსა სწავლობს. მკვდარი მკვდარს რომ აეკიდა, სამარის კარამდე მიმიყვანეო, სწორედ ამასა ჰქვიან.

—

— უცნაური აფთიაქი ყოფილა აივაზოვის აფთიაქი. რომ შეხვალ, აგათვალჩაგათვალიერებენ და მერე მედიდურად გკითხამენ: რამდენისა გინდა წამალი? თუ ღმერთი გაწყრა და ერთი-ორი შაურისა გინდა რამე, მაშინვე პანღურს ამოგიქერენ: ჩვენ ამდენ ამდენისას ვყიდით, ნაკლები არ შეიძლებაო.

ასე იცის სიმსუქნემ!..

—

ჩვენებური ამბები.

სურამი. ჩვენშიც იჩინა თავი საზიზღარმა მოძღვრებამ... აქაც, სურამშიც, მოჰხდაა მზავი შემაძრწუნებელი, რეგრესის მაჩვენებელი...

ყველა, ვისაც-კი თავისი თავის პატივისცემა შერჩენია და არ ჩაჰქრობია სურვილი ქვეყნისთვის მოღვაწეობისა, განცვიფრებული დარჩება იმ ვიღაცა კინტოს თავხედობით, რომელმაც შეურაცხჰყო მთელი აქაური საზოგადოება სურამში გამართულ საცეკვაო საღამოზედ.. წარმოიდგინეთ (მაგრამ წვერი მიტყდება კალამს, ამას რომ ვწერ) იმანაც, მოინდომა ამ საღამოზედ დასწრება... ბილეთი იყიდა და მობრძანდა ეს ვაჟბატონი „უბრალოთ" ჩაცმული... რაუყოთ, რობილეთი ნაყიდი ჰქონდა?!

შეეძლო მაინც და მაინც ნაყიდი ბილეთით არ ესარგებლა... მაგრამ, განა ჩვენს ხალხს ესმის თავისი მოვალეობა?! განა ჰქონდა უფლება, მე თქვენ გკითხავთ, რომ საცეკვაო საღამოზედ მიდიოდა... სად ის და სად ცეკვა? სად ის და სად ესტეტიკა! ყველა შეგვაძრწუნა ამ ამბავმა. მე, როგორც ერთმა ინტელიგენტთაგანმა, ველარ მოვითმინე გულში ჩაწოლილი ზიზღი, ადამიანურ ღირსების შელახვით გამოწვეული, და გავაგდე კინწის კვრით მიზეზი საზოგადოების შეურაცხყოფისა. იმითღა ვნუგეშობთ, რომ ამისთანა მაგალითი „მეტიჩრობისა" იშვიათი მოვლენაა ჯერ ჩვენში.

სურამელი ინტელიგენტი.

—

დ. ცხინვალი. დიდებულ შექსპირს უთქვამს: „თუნდ თოვლივით სპეტაკიც იყო, მაინც ჭორიკანების ძრახვას ვერ გადურჩებიო", და მართლაც ჩემის წერილის გამო, რომელიც მოთავსებული იყო „შურდულში", დიდი ალიაქოთი მოხდა: მეჭორე „რებუს" ანათემაო, რადგანაც მან ჩვენს უკვდავ სახელს ჩირქი მოსცხოვო.

„ტუზებმა" შემდეგ წარმოდგენისათვის ბილეთები აღარ იყიდეს: ვნახოთ, როგორი ქესატობა და გაურთობლობა იქნება უჩვენოთო, ვნახოთ, რა მიდიოდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ატტაშემ შუქრი-ფაშამ, ოსმალეთის სამხედრო მინისტრის შვილმა, უცხოელ ატტაშეებს უთხრა, მამაჩემი დაჟინებით ურჩევს ხონთქარს ომის დაწყებასაო. ომი წინადვე დაიწყებოდა, დიდი სახელმწიფოები რომ არ უშლიდნენ ხელსაო.

სერბია. „ბირჟ. ვედომ“. ბელგრადიდან დეპეშით ატყობინებენ,—ნიშში დაპატიმრებულმა ოფიცრებმა მოითხოვეს ამხანაგების განთავისუფლებაო. იგინი აპირობენ არეულობის მოხდენას და ჰსურთ იძულებულ ჰყონ პეტრე მეფე, ხელი აიღოს მეფობაზე მემკვიდრე პრინცის სასარგებლოდ, რომელიც ვითომ თანაუგრძნობს უკმაყოფილო ოფიცრებს. მათ გადასწყვიტეს, რადაც უნდა დაუჯდეთ, დაიხსნან სერბიის მხედრობა შემარცხვენელ მეფეთ მკვლელებისაგან. სერბიის გაჭირვებულ მდგომარეობას კიდევ ის გარემოება ართულებს, რომ ახალ შეთქმულების მონაწილეთა შორის არ არის ერთობა სერბიის ჯარის სახელის აღსადგენ ღონისძიებათა შესახებ: ერთი ნაწილი ოფიცრებისა იმ აზრისაა, რომ მეფე-დედოფლის მკვლელები განდევნილ იქმნან; მეორენი-კი მაისის არეულობის დამნაშავეთ ერთიან ამოწყვეტას თხოულობენ. 29 აგვისტოს ამ უთანხმოების წყალობით შეტაკებაც მოჰხდა ოფიცერთა შორის.

ოსმალეთი. ოფიციალიურ ოსმალურ ცნობათა თანახმად მონასტრიდან, ვოდენიკის ტბის ახლო, დაბა სელენში, ტერესტენში და სხვ. მოხდა დიდი ბრძოლა; ორივე მხარეს ბევრნი გასწყდნენ. როგორც ბულგარულ ცნობებიდან სჩანს, ოსმალები დიდად დაზიანდნენ ლიმანთან შეტაკების დროს. ბრძოლის დროს ჯარს შეუერთდენ ყველა ოსმალნი, ვისაც-კი შეეძლო იარაღის ხმარება, მაგრამ ორი საათის ბრძოლის შემდეგ ჯარი მაინც იძლია. მეამბოხეებმა, ლიმანელების დასასჯელად, ცეცხლი წაუკიდეს მათ სოფელს. ამ ნაირადვე დასჯილ იქმნა იმავე ოლქში ოსმალთა სოფელი საზარა და მაჰმადიანთ ყაჩაღთა სოფელი გორნოკადნევო. გარდა ამისა ბრძოლა მოხდა პრესპანის ოლქში, სადაც მხედართ მთავრებმა პენომ და ვოკორევმა ამოსწყვიტეს 200-მდე ოსმალნი, რომელთა საზოგადო რიცხვი ბრძოლის დროს თითქმის 3 ათასამდე იყო. ნევესკიდან უკან დახევის შემდეგ მეამბოხენი გამაგრდენ დაბა ვორბოვეცში, სადაც შემდეგ მოხდა დიდი ბრძოლა, რომელმაც ორი დღე გასტანა. ოსმალები ჯერ დიდათ დამარცხდენ, მაგრამ შემდეგ ზარბაზნების შემწეობით მეამბოხეებს დაატოვებინეს პოზიცია. სოფელი ნევესკი, სადაც მეამბოხეთ ამოჟლიტეს სამასამდე ოსმალი ჯარის კაცი, შემდეგ ყუმბარების სროლისა, ნანგრევებათ იქმნა ქცეული, დაზიანდა აგრეთვე სოფელი ანტოსი, სადაც დანგრეულია ღვთის მშობლის მონასტერი. კრუშევოს განადგურების შესახებ იუწყებიან, რომ ოსმალთ მიერ მოკლულია ასზე მეტი მშვიდობიან მცხოვრები და დანგრეულია 725 და გაძარცულია მრავალი სახლი.

ნარკვევი

კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამმართველო, როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენება, ცალკე კრებულებსა ჰბეჭდავს კავკასიის ხალხთა ცხოვრების შესახებ. (Сборъ матер. для описанія мѣст. и плем. Кавказа). ამ კრებულის მე-X წიგნში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ სტოიანოვისა, რომელიც ამტკიცებს, რომ სვანურს ენას არავითარი დამოკიდულება არა აქვს ქართულ ენასთანაო. ამის გამო მღვდელი ბლაღოჩინი ივ. მარგიანი ჟურნალ „მოამბის“ ივლისის წიგნში სწერს:

„ამბობენ, რომ სვანური ენა დამახინჯებული ქართულიაო, მაგრამ საკვირველია, რომ სვანებს არ ესმით ერთი სიტყვაც-კი ქართულად; ლაპარაკობენ ცოტანი უშგულში, ლაპარაკობენ ქართულად თავადები, ლაპარაკობენ დიაკვნები და ეკკლესიის მნათეები, ლაპარაკობენ იასაულები სვანეთის ბოქაულისა; მსურს გავიგო—კიდევ ვინ ლაპარაკობს, ან ვის ესმის ქართული სვანეთში?“ სწერს ბ-ნი სტოიანოვი თავის მოგზაურობის აღწერაში, სწერს, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ. ნეტავ ვიცოდეთ, სად გამოსცადა სვანები ბ-ნმა სტოიანოვმა (გიმნაზიის მოწაფეებსავით) ქართულის ცოდნა-ლაპარაკში? თუ სვანეთში მოგზაურობის დროს შეიტყო, არ მესმის—რა ნაირად; იმას ჰქონდა საქმე მხოლოდ თავადებსა და რამდენსამე გლეხთან და არა ყველასთან და თავადები ხომ ლაპარაკობენ ქართულად, ბ. სტოიანოვო? თუნდაც რომ ჰქონოდა, სვანი მაინც სვანურს გააგონებდა მას და ქართულს. თუ-კი არ დასჭირდებოდა, რათ ეტყოდა მას? მით უფრო, რომ თითონ ბ. სტოიანოვი არ ესაუბრებოდა ქართულად. მაშ რა ნაირად გაიგო ბ. სტოიანოვმა, რომ სვანებმა ქართული ლაპარაკის ინჩიც არ იციან? მობრძანდი, ბ. პედაგოგო, დაჰყევით ს. უშგულიდან, გაიარეთ კალა, გადალახეთ იფრი-წვირმი, შედით მულახ-მუჟალში, ჩაჰყევით ს. მესტიას, ლენჯერს, ლატალს და ნახავთ, რომ ამ სოფლებში, რომელთაც საერთო სახელი თავისუფალი სვანეთი ჰქვიან, ქართული თითქმის ყველამ იცის და წინათაც იცოდა. უცოდინარს თუ ნახავთ ღრმად მოხუცებულებს, რომელნიც არსად არ წასულან. ზოგგან იმისთანა მოსწორ ქართულს გაიგონებთ, რომ გესიამოვნებათ მაგრამ. ბ. სტოიანოვი ჩვენ რათ დაგვიჯერებს, როდესაც პატივცემულს დ. ბაქრაძეს არ უჯერებს?

ბ. სტოიანოვმა დაიწყო სვანური ენის შესწავლა, როგორც თვითონ ამბობს, 1871 წლიდან. იმოგზაურა სვანეთში, აწერა მათი ყოფა-ცხოვრება, გამოიკვლია მათი ენა და, ნუ იტყვით, შთამომავლობაც.. თურმე სვანები—მულახლები იგივე მალოროსებიც! ბოლოს გამოვიდა რაღაც ღომხალი, არეული, ჩარეული და ცხრა რჯული...

მართლადაც, საიდან უნდა მიხვდეს კაცი სვანური ენის მსგავსებას ქართულთან, როდესაც ბ. სტოიანოვი სიტყვებს სულ ასხვაფერებს და რაღაც სხვა ენასა ჰქმნის!.. მაგალითად, ბ. სტოიანოვი სწერს: «დვაში კვიცრა ჩოვ ხამურცხა... (უნდა იყოს: დვაში კვიცრა ჩუვ ხომურცხა) და სთარგმნის ასე: ამოაქვს (ქვევიდგან) ჯიხვები, როდესაც რომ ნამდვილი თარგმანი ასეთ ჯიხვი და არჩვი დაამარცხა (დაუმარცხებია), რასაც ადვილად გაიგებს კაცი, რომ ქართული სიტყვებია მეორე მაგალითი: „ფოუასაოვ ჯირკიდ ვოი ხიმომა“—სწერს ბ. სტოციანოვი და უნდა იყოს: «ფოუას ჯირკდ ოი ხანგარი» (გვერდზედ ბეჭიდა ხანგარი). ყველა მიხვდება, რომ აქ ქართული სიტყვებია: ბეჭიდა, ხანგარი—და ბ. სტოიანოვის ნაწერში-კი ვერა-რას გაიგებთ. სიტყვების ახსნაში (ლექსიკონი) იმდენი შეცდომა აქვს, რომ ვერაფერს ვერ გაუგებთ: სადაც «ფ» უნდა, იქ რუსულად «პ»-სა სწერს, სადაც „ჭ“ იქ «ჩ»-ს, სადაც «ღ» იქ «გ»-ს და ასე ამ გვარად თავისებურს ანბანსა ჰქმნის *).

ასე ამახინჯებს ბ. სტოიანოვი სიტყვებს, წინადადებებს ლექსებს და თან ამბობს: «ჩემ მიერ შეკრებილს მასალას მე კმაყოფილებით წინა დაუდებ გამოსარკვევად იმ საკითხისა, თუ რომელს ოჯახს ენებისას ეკუთნის სვანური ენაო».

რასაკვირველია, ბ. სტოიანოვი დიდის კმაყოფილებით გაიმეტებს იმისთანა მასალას, რომელიც ადამიანს, სწორ გზაზედ დაყენების მაგიერ, დააბნევს, თავბრუს დაახვევს და ვერავითარ უტყუარს აზრზედ ვერ მიიყვანს!

„მართალია, უშგულურ ლექსებში ბევრი ქართული სიტყვებია და თითქმის მთელი ქართული ლექსებიცაა, რაიც აიხსნება ქართული ელემენტით უშგულის საზოგადოებაში. კიდევ უნდა შევნიშნოთ, რომ თითქმის ყველა სიტყვები, რომლებიც კულტურის საგნებს აღნიშნავენ,—ქართული ძირისაა, რაიც სრულებით გასაგები და მოსალოდნელია. ეს სიტყვებიც ბ. სტოიანოვს ეკუთვნის.

დარწმუნებული ვარ. რომ ბ. სტოიანოვი ამ სიტყვების თქმის დროს სრულებით არ შეჰკითხებია თავის თავს: ვიცი-კი ქართული, სვანური, მეგრული ენები (თუ კილო?), რომ ამისთანა გამბედავი და მეტად-მნიშვნელოვანი აზრი წარმოსთქვაო?! და ამათი ცოდნა-კი საჭიროა სვანური კილოკავის წარმოდგომის ასახსნელად. არა, არ შეჰკითხებია, თორემ ამასაც არ იტყოდა, რადგან სვანური სიტყვების თითქმის $^2/_3$ სულ ქართული სიტყვებია, ხოლო დანარჩენი $^1/_3$—ზოგი მოჩმახული, ზოგი მოგონილი, ზოგი ნასესხები და ზოგი რა. ამის თქმას გვაბედვინებს ჩვენ საკუთარი დაკვირვება და ცოდნა სვანურის ენისა (რა გვენაღვლება—დავუძახოთ ენა) და მასთან ქართულისაც.

დასასრულ მამა მარგიანს მოჰყავს ვრცელი ლექსიკონი სვანურ სიტყვებისა, ადარებს ქართულ სახალხო და სალიტერატურო სიტყვებს და თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ ან სულ ერთი და იგივე სიტყვებია ანუ მცირედ შეცვლილი და გადასახვაფერებული, თუმცა ფესვი ერთგვარი აქვთ.

თეატრი და ხელოვნება

თ-დ ა. სუმბათაშვილის ახალი პიესა «ღალატი» ამ შინაარსისაა: საქართველო მტერს დაუპყრია და აუკლია. თვით ქვრივი დედოფალიც დაუტყვევებია. საბრალო დედოფალი ხასად აუყვანია მტერთა მთავარ სარდალს, არაბსს, რომელსაც შაჰი ენდობა და სწყალობს. არაბნი ტახტის მემკვიდრეს ეძებენ, პატარა ბავშვს, რომელიც დედოფლის ერთგულ მოსამსახურეს თავის სახლში დაუმალავს. რადგანაც ამ მოსამსახურეს შეჰშინებია, ვაი თუ მტერმა არ მომისვენოს და ბავშვი იპოვოსო, აუღია და თავისი ღვიძლი შვილი მოუყვანია მტერთან, მემკვიდრე ეს არისო. გაივლის ოცი წელიწადი. ქართველი ერი ამხედრდება მტარვალთა წინააღმდეგ მოწადინებულია, რომ ტახტს მემკვიდრე გაამეფოს. გარემოებაც ხელს უწყობს. მემკვიდრეს ადვილად შეუძლიან მტერს მოშორდეს და სამშობლოში გამეფდეს. მაგრამ სწორედ ამ დროს შეუყვარდება ერთი არამჰანის კეკლუცი და იმის შთაგონებით არჩევს სამშობლოს უღალატოს. ამ მოღალატის დედა, რომელიც ოცის წლის განმავლობაში იმედს არა ჰკარგავდა და თავის შვილს მხსნელადა სთვლიდა, თავზარ-დაცემულია.—ამით თავდება თ-დ სუმბათაშვილის პიესა, რომელშიაც ყველაზე კარგა არაბია თურმე დახასიათებული, გულმოდგინე მსახური ისლამისა, ფანატიკოსი, მაჰმადის ხმლად წოდებული. ამ პიესას ჯერ მოსკოვის საიმპერატორო თეატრში წარმოადგენენ.

ქ. ქუთაისი. შაბათს, 30 აგვისტოს, ადგილობრივ „მსახიობთ“ გამართეს წარმოდგენა. წარმოადგინეს «პატარა კახი» ისტ. დრ. 5 მოქ. ა. წერეთლისა. თუმცა ყველა მოთამაშეება თავიანთი როლი «მამაო ჩვენოსავით იცოდნენ, მაგრამ რაც შეეხება მიხვრა-მოხვრას, დიქციას და სხ. ე. ი. თამაშს, ყოვლად უვიცონი იყვნენ. ზოგიერთმა არც-კი იცოდა, სად უნდა გაჩერებულიყო და ან სად წასულიყო; რა ემოქმედა და რა ეთქვა. ეს ბოლო ჩემი სიტყვები უფრო ეკუთვნის მათ, ვინც თავის თავს მსახიობს უწოდებს და არც კი ესმით რა არის მსახიობი და როგორი უნდა იყოს მისი თამაში. რიგიან თამაშობისათვის მარტო როლის სწავლა არა კმარა.

წარმოდგენამ როგორც მოსალოდნელი იყო, ძლიერ სუსტათ ჩაიარა. „პატარა კახი“ ჯვარს აცვეს და დაასახიჩრეს: დრამის მაგივრად ფარსი წარმოადგინეს. ყველა მოთამაშეს გამოსვლა სცენაზე (გარდა ბ-ნ დ. ჩარკვიანისა, რომელიც «პატარა კახის» როლს ასრულებდა) ხალხს სიცილს ჰგვრიდა და ხალხი შეტენით და დაზღანდარობით ისტუმრებდა სცენიდგან. კვლავ ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი წარმოდგენისაგან, თორემ ხელოვნებას ქუთაისში გადაგვარება მოელის და თეატრი მალე მგონი „ცირკათ“ გადიქცეს.

ჯერ ქუთაისში ისეთი წარმოდგენა არ გამართულა, რომ საქველ-მოქმედო სახელით არ ყოფილიყოს მონათლული; რამდენათ მართალია ეს ერთი ალლახმა უწყის.

რუისპირელი

დ. ხონი. კვირას, 31 აგვისტოს, საზაფხულო თეატრში ადგილობრივმა სცენის მოყვარულებმა გამართეს უკანასკნელი წარმოდგენა. წარმოადგინეს 2 მოქ. კომედია „ადამ და ევა“ და ვოდევილი „ორი მშიერი“. ხალხი თუმცა ბლომად არ დასწრებია წარმოდგენას, მაგრამ დიდად ნასიამოვნები-კი დაბრუნდნენ სახლში. «ადამ და ევაში» კარგად ითამაშა ი. ბახტაძემ ივანიკეს როლი. მხოლოდ ქალს ცოტა სისუსტე ემჩნეოდა თამარიკას როლში. რადგან მისი გამოსვლა პირველი იყო სცენაზედ. «ორი მშიერი»-კი რომ არ ეთამაშნათ უფრო კარგი იქნებოდა, რადგან როლების უცოდინარობის გამო რას ამბობდნენ თვითონაც არ ესმოდათ. მისჩერებოდნენ სუფლიორს და მის ნათქვამ სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტათ იმეორებდნენ.

ბ. ი. ბახტაძეს კარგად შვენის კომედიებში მოხუცებულის როლების თამაშობა, და მარ-

---

დამა-კავალრები მოიყრიან თავსა და ნახავთ თუ „მუჟიკებით“ არ აივსოს თქვენი თეატრიო.

ძაან მჟავე გუნება შეექნათ ბ-ნ თავქარიანიძეებს...ყველა სდუმდა...ყველა მომერიდა. ერთმა ნაცნობმა კი მითხრა: „ასე უნდა, ასე! თავქარიანებს თავში ჩაკვრა და ლაგმის ამოდება მოუხდებათო“.

ჩვენი აქაური ინტელიგენცია ეპიკურის მოძღვრებას დასწაფებია, ისინი ქვეყნისთვის არა ზრუნავენ.

—ვგმობ მათ, რომელნიც თაყვანსა სცემენ მდიდართა იმ აზრით, რომ მათთან კარგად ისადილონ, სთქვა მეორემ.

ჩვენი კამათი უფრო გამწვავდებოდა, რომ ერთი მუშის ხმა არ შემომესმენოდა სახელოსნოდან; საბრალო ჩაქუჩს ურტყამდა ჩექმას და სევდიანის ხმით დაჰღიღინებდა:

შრომაში დაბადებულხარ
და აღზდილი ხარ ბრძოლითო
მაგრამ მტერი შენ დღესაცა
გიცქერის შიშით, ძრწოლითო!..

მეც თავი გავაქნიე, გამოვემშვიდობე ჩემს ნაცნობ და გულჩათხრობილმა გავწიე შინისაკენ, სადაც ვპოვე „მყუდროება სულისა“.

რებუსი.

სოხუმი. ჩვენმა ხმოსნებმა საბჭოს თავმჯდომარის მეთაურობით მოურავის არჩევნების წინა დღეებში რეპეტიციების მართვა დაიწყეს ზოგს აშავებდნენ, ზოგს ათეთრებდნენ, მაგრამ, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, მოურავი ვერ აირჩიეს და ვერა, და ამიტომ იძულებული შეიქმნენ არჩევნები სეკდემბრამდე გარდაედოთ და რეპეტიციები-კი უვარგის საშუალებად იქმნა აღიარებული.

ბოლოს იფიქრეს, რა საშუალებით შეიძლებოდა გაურჯელად კანდიდატის მონახვა და ერთს მათგანს ბედნიერმა აზრმა გაუელვა თავში, ცოტა ხანს შუბლზე ხელი მიიდო და სიხარულით წამოსთქვა: «ახლა ჩაგონებით ვარსკვლავებზედაც-კი ადიან და ჩვენ მოურავს როგორ ვერ ვიპოვითო! ურჩია ყველას ამ საშუალებისთვის მიემართნათ, რადგანაც ამას ძილის მეტი არა უნდა-რა და ძილი ხომ ყველას გვიყვარსო».

ყველას მოეწონათ ეს აზრი.

დაიძინეს ყველა ხმოსნები და ჩააგონეს პირველ სეკდემბრამდე თვალი არ გაეხილათ და სულ მოურავი ეძებნათ. მაგრამ, საუბედუროდ, 15 აგვისტოდამ წვიმები და ელვა-ქუხილი დაიწყო და ხმოსნებს უდროვოდ გამოეღვიძათ.

გაიღვიძეს თუ არა, შეიქმნა გამოკითხვა, ვინ რომელი კანდიდატი ნახა ძილში, მაგრამ რაღაც ეშმაკად, ზოს თურმე მთელი ზაფხული არშინი ესიზმრებოდა, ზოგს სასწორი, ზოგს აგარაკები და ლამაზი ქალები, ზოგს წითელი ღვინო, ზოგს კლუბი, ზოგს ბილიარდი, ზოგს ბანქო, ზოგს ნარდი და ყავახანები, და წყეული სამოურავო კანდიდატი-კი არავის გამოსცხადებია.

დაღონებული ხმოსნები აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და ბოლოს გადასწყვიტეს, მარილ-კვერი სჭამონ ოცს აგვისტოს (ისე როგორც სომხის გასათხოვარი ქალები სჭამენ ხოლმე სუფ-სარქისობა ღამეს, რომ საქმრო იხილონ სიზმარში) და ახლა ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ეს საშუალება საუცხოვო ნაყოფს გამოიღებს და სეკდემბრისათვის სამოურავო კანდიდატი უსათუოდ გამონახულ იქმნება.

ისევ-მე

ნარევ-ნაქვეს-გასართობი.

მონასიბი

(ექსპრომტი)

I

სიტყვა სხვაა, წერა სხვაა,
შუა უზის დიდი ზღვარი.—
კალამი თვით ვერას დასწერს,
თუ არა აქვს კალმის ტარი!

II.

ქვათა შორის ლალი იყო,
ლალთა შორის ქვა სიპისა,—
აწ აღარ სწერს, არც რა გვახსოვს
მისი წერა—ტიტინისა!

III.

ამხანაგობის ანგარიშს
ამხანაგობა დაეძებს,—
მმართველი ამხანაგობას
არ სცნობს, ანგარიშს რას ეძებს!

IV.

სადაც დადის, თანა დააქვს
ფანტაზია პროექტებით,
„პურ-ღვინოს“ რომ შერჩენოდა,
ისიც და ჩვენც მოვიგებდით...

ა. წოია.

კორრექტურულ შეცდომის გასწორება

დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
ცრუობის ფურცელი	ცნობის ფურცელი
ცხვრების სურათები ი. ნ—შიძისა	ცხოვრების სურათები ი. ნ—შიძისა.

ა. წ.

გამოცანა

შორს მტყორცნელი, მსროლელია,
უტყუარად ნაბიჯ-მდგმელი,
რასაც ესვრის, არ ასცდება
და არც უჭირს საქმე ძნელი...
უნდა კვლავაც იმოქმედოს:
ლექსით-წყობით თუ შაირებით;
ის ამხილოს, ვინც ატარებს
აქ წუთ-სოფელს ანგარებით.

დ. ჯ.

დეპეშა

(შურდულის დეპეშათა სააგენტო)

6 სეკდემბერი.

ქუთაისი. არსდება ამხანაგობა გაზეთის გამოსაცემად. გამომცემლად ასახელებენ ტფილისელ ქუჩის გაზეთის აქაურს კორრესპონდენტს Д. В—ъ; რედაქტორად ცნობილ დიდიმს. გაზეთის განყოფილებანი ასეა დანაწილებული: მეთაურების წერა დაევალება კალისტრატეს, ფელეტონების—ამირეჯიბს, ახალ ამბების—ფეხუცას, თეატრისა და ხელოვნების—დათიკო ჩ—იანს, უცხოეთის—ექს-დამფასებელს მეფისაშვილს, რუსეთისა—„თვით“ ბ-ნ მეწისქვილოვს, ნარევისა—ივანე ქა—აიას, ნაკვესისა—ი. ჯაიანს („ნამეტანი“ მოსწრებული სიტყვის პატრონია). კორექტორობას აძლევენ (თუმცა ძნელი დასაჯერებელია) ვასილ ბლუს, რომელზედაც ამბობენ, „პირველ ხმას რომ ჩვენ გვიუბნება, მოძახილს ჩვენის მოწინააღმდეგეებისაკენ გაიძახისო...

ჭიათურა. ამბავი მოვიდა,—ჭიათურაში სახელმწიფო ბანკის განყოფილება არსდებაო; აქაურ ბანკის გამგეთ თავზარი დაეცათ,—თუ ეს ხმა გამართლდა, ჩვენ ბარგი უნდა ავიკრათო.

ლანჩხუთი. კაი ხანია დაიწყო მწყერაობა; ჩვენი მუქთა-ხორა ახალგაზრდობა დიდ მხნეობასა და სიბეჯითეს იჩენს ჯერ ჯერობით.

ხიდისთავი. რადგან ღვინის მოსავალმა გვიღალატა, ვინც სალვთის-მშობლოდ მობრძანდეთ, ღვინოც თან წამოიღეთ, თორემ სუფსის წყლით ისე გაგბერავთ, როგორც გუდას.

ჩოხატაური. მეგრელიშვილის სამიკიტნოში დიდი ქეიფი და დროს ტარებაა.

ფარცხმა. გურულები უნდა გავსულიწმინდანდეთ: წელს არც ღომი მოგვსვლია და არც სიმინდი. მთელი წელიწადი უნდა ვიმარხულოთ და ცოდვები მოვინანიოთ.

პატარძეული. ყოფილი მამასახლისი, რომელსაც ჰბრალდებოდა ქურდების უსტაბაშობა, სოფლის საზღვარ გარედ ივლტო. მის კვალს გაცხარებულნი დაეძებენ.

საბარეჯო. სათემო კრებამ დაადგინა,—გულმხურვალე მადლობა გამოვუცხადოთ სოფლის დარაჯებად ნამყოფებს, რომელთაც ჩვენ საზოგადოებას დიდი სიკეთე მოუტანესო: ჯერ ერთი, ძალიან დახელოვნდნენ ჯაშუშობაში და სოფლის ახალ-გაზრდობა შეაძრწუნეს; მეორეთ ცხენების პარვაში თათრებს უწყობდნენ ხელსაო.

დ. ცხინვალი. როგორც იყო დასრულდა „ციმბირელის“ წარმოდგენა. წარმოდგენას ლოთების ბრბომ ხელი მეტად შეუშალა. არტისტებს დალეჭილი სიტყვები, ჯერ ისევ ყელზე ადგიათ.

იქიდანვე. ცნობილი „ექიმ-პარიკმახტერი“ ავადმყოფობისაგან განიკურნა და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას. ავადმყოფებზე „საშინლად“ მოქმედებს მისი უებარი წამლები; იმედია ბევრს გაისტუმრებს საიქიოს.

პეტროვსკი. მეგობარს რჩევამ გასჭრა: პეტროვსკელმა ქართველებმა ქუთაისის თავად-აზნაურთ დეპეშა გაუგზავნეს—უჩვენოთ მანჯურიისაკენ ნუ გაემგზავრებით, ჩვენც მალე თან გამოგყვებით, რადგან შვილები ისე გადავაგვარეთ, რომ ჩინური უკედ ესმით, ვიდრე დედა-ენაო.

პეტროვსკა. ყოველ საღამოობით ქალაქის ბაღში დანიშნულია კეკე-მალულობის თამაში: ცხრა საათზედ მუდამ ქრება ახალ მოდის ფარანი.

„პურ-ღვინოს“ მიდამო. სალაყბო პარამენტი ყოველ დღე იკრიბება. წევრთა უმრავლესობას შეადგენენ ჩოხოსან-ტროსტოსანი, ყოფილნი ხანჯალოსანნი.

ანონნა. რესტორანი „ანონნა“ დღესასწაულობს დაარსებიდგან ორის წლისთავსა. სანოვაგე მეტად გაუიაფებია, თითქმის მუქთაა. ვისაც ფლავის იშტა აქვს, ვთხოვთ მობრძანდესო.

---

*) შეიძლება ჰგონია ბ. სტოიანოვს, რომ ეს ასოები სხვა ენაშიაც არ არის. ავტორი.

თალი უნდა მოგახსენოთ, მოხერხებულადაც თამაშობს. იმედი გვაქვს კვლავაც არ მოგვაკლებს ბ-ნი ბახტაძე და გამართავს ხოლმე წარმოდგენებს.

ალექსანდრე ბებუკიძე.

წერილი

რედაქციის მიმართ.

I

თქვენს გაზეთში იყო მოთავსებული წერილი სოფელ "ხოვლიდგან. ავტორი წერილისა აღნიშნავს ზოგიერთს ნაკლს ხოვლისას და ეხება, სხვათა შორის, მერაბის მოქმედობასაც, ანუ უკეთ რომ ითქვას, უმოქმედობას, რის მიზეზითაც, ვითომდა ამ მიმავალ წელს ბევრს გაუხმა ნათესი უწყლობით და უყურადღებობით მერაბისაო, თუმცა ფულს-კი იღებსო. არ ვიცი, რამდენად ნამდვილია ხოვლეს ნაკლთა აღნიშვნა, ხოლო რაც შეეხება წრევანდელ სარწყავ წყლების სიუხვეს—ეს ყველამ უწყის. საზოგადოდ, კვლავ თუ საჭიროა მუდმივი წეს-რიგის მიცემა სარწყავ წყლების განაწილებისათვის სოფელთა შორის, წრეულ მხოლოდ ის იყო საჭირო რომ ყოველნაირი ღონისძიება მიგვეღო, რათა მთელ ზაფხულში ადიდებულ თეძამს გარშემო მყოფი არე—მარე არ მოეკლიკა. რამდენათ სიუხვე იყო ყველგან წყლებისა წელს, ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ წრეულ ბევრმა სოფელმა არც-კი იყოლია ჩვეულებრივი მერუეები.

ძეგვის რაიონის წყლების მირაბი
თ. მ. ე. თარხნიშვილი.

„ივერიის“ ფოსტა

ს. მალდა. ევ. მალდელს.—თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

ქ. თელავი. ქ. გ. ი.—თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

შუა მთის მონასტერი კახეთი. მორჩ. ევ. ნარეკვაველს.—თქვენი წერილი არ გამოდგა დასაბეჭდათ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 სეკდემბერი

სოფია. გაზეთები ჰბეჭდავენ შემაშფოთებელს დეპეშებს ოსმალოთა მხეცობის შესახებ.—ლოზენგრადის სანჯაყში საყოველთაო ხოცვა-ჟლეტის დროს ამოსწყვიტეს უმეტესი ნაწილი მკვიდრთა.

ლონდონი რუსეთმა და ავსტრიამ ისეთი რამ შეუთვალეს ინგლისს, რომ თუ ვინიცობაა, ასრულდა შენათვალი, იმედია აღდგენილ იქმნას წეს-რიგი მაკედონიაში. ის დიდი სახელმწიფონი ჰფიქრობენ, აიძულონ ოსმალეთი რეფორმების შემოღებად, როცა-კი ეს შესაძლებელი იქნება.

ბერლინი. ბელგრადიდან იუწყებიან, რომ მეფე პეტრემ საგანგებო ღონისძიებანი მიიღო თავის დასაცველად. მეფის საწოლს ოთახს დაიცავს 12 ჯვარდიის ჯარის-კაცი, ჩამომავლობით შვეიცარიელნი; სავის მდინარეზე მუდამ მზად იქნება გემი, რომ ვინიცობაა საჭირო იყოს, უნგრეთის მიწა-წყალზედ გადიყვანონ მეფე; საწოლ ოთახის ფანჯარასთან შესაფერი კიბეა მიდგმული.

ბუდაპეშტი. გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი მოვიდა აქ ელექტრონის რკინის გზათა დასათვალიერებლად და სალამოზედ გაემართა იტალიას.

სტამბოლი. მოვიდა 200 ახალგაზდა ბერძენი, ნება ყოფლობით გვინდა ჩავეწეროთ ოსმალეთის ჯარში, რომელიც ებრძვის აჯანყებულთაო. როგორც ეტყობა, ამ ბერძენთაგან ცალკე კორპუსი შესდგება ოსმალო ოფიცერთა უფროსობით.

ვენა. იმპერატორი ვილჰელმი მობრძანდა.

ყაზანი. საშინაო საქმეთა მინისტრმა ყაზანში დღე და ღამე გაატარა და გემით სამარასაკენ გაემგზავრა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. დღეს აკურთხეს ახალი სახალხო სახლი, რომელშიაც თეატრი, სამკითხველო, წიგნთ-საცავი და სასადილოა 2,000 კაცისათვის. დაჯდა 75,000 მანეთი. აშენებულია აქაურ პირველ-დაწყებითის სწავლის გავრცელების საზოგადოების ხარჯით.

სტამბოლი. ყირხ-ქილისეს სანჯაყში, ალბანელთა ბატალიონის რედიფების გადაყვანის შემდეგ, მშვიდობიანობა მკვიდრდება. ვაჭრობა კვალად დაიწყო.—სოფელ ეკვარიონში, სადაც ბულგარელნი და ბერძნები სცხოვრობენ, მხედრობამ უბრძანა ბერძნებს, სოფლიდგან გადითო; ხალხი დამორჩილდა, ხოლო შეტაკება მაინც მოხდა, თოფის სროლა ასტყდა და 15 ბერძენი მოკლულ იქმნა.

6 სეკდემბერი.

პეტერბურგი. შანჰაისა და ტიანძინში ხორველა გაჩენილა.

ზემლინი. უსაფუძვლოდ გავრცელებულა ხმა, ვითომც სერბიის მეფე მოჰკლესო.

ვენა. იმპერატორ ვილჰელმს სადგურზედ მიეგება იმპერატორი ფრანც-იოსები გერმანიის ფელდმარშლის მუნდირით. იმპერატორ ვილჰელმს ავსტრიის კავალერიის საგენერლო მუნდირი ეცვა. იმპერატორები ერთმანერთს მეგობრულად მიესალამნენ. მეფენი გოფბურგს წავიდნენ, ხალხი აღტაცებით დაუხვდა.

სტამბოლი. რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩებს პორტამ აუწყა ცნობები ჯუფთებთან შეტაკების შესახებ, როდესაც 313 აჯანყებულთაგანი მოკლულ იქმნა. დასასრულ ნათქვამია, რომ სასტიკ ღონისძიებათა წყალობით. მომეტებული ნაწილი ჯუფთებისა განბნეულიაო.

სტამბოლი. ოსმალეთი სესხულობს $2^1/_2$ გირვანქა სტერლინგს; ხელშეკრულობის ქაღალდს დღეს ხელი მოაწერეს.

სოფია. ოფიციალურის ცნობებით მტკიცდება, რომ ქალაქი კასტორია, რომელშიაც 20,000 მცხოვრები ითვლება, ოსმალებმა მთლად გადასწვეს.

სტამბოლი. ადრიანპოლიდგან იწერებიან, რომ ყირს-კილისეში 500 ეტლით მაჰმადიანთა ოჯახები მიუყვანიათ მოსაზღვრე სოფლებიდგან და ახლომახლო სოფლებში დაუსახლაბიათ.—აქაურები შეშფოთდნენ, როდესაც გაიგეს, რომ ბულგარიამ სამი ახალი დივიზია უნდა შეჰყაროსო. მერე აღმოჩნდა, რომ მხოლოდ გაძლიერება უნდათ რაზმებისა, რომლებიც საზღვრის დასაცველად არიან დაყენებულნი და აჯანყებულებს ვერ იოკებენ. ამის დასამტკიცებელი ცნობები ბულგარიამ უკვე გამოუგზავნა პორტას.

პეტერბურგის ბირჟა 5 სეკდემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,55
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,40
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	$37,47^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$5—6^1/_2\%$
4% სახელმწიფო რენტა	$99^1/_2$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95^3/_8$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგებ. ბილ. 1864	443 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$337^1/_4$ წვ. გაყიდ
5% გირავნ. ფურც. სასახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	287 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2\%$ ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4% ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	$92^1/_4$ წვ. გაყ.
5% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9300 გაყ.
აქციები. ,, ,, ,,	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	385
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	188 წვ. გაყ.

გამოსადეგი ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74_{75} ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუაღდის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_8$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

ოზურგეთი. ცეცხლი გაუჩნდა და სრულიად გადაიწვა დემუროვის ფოტოგრაფია, ზარალი ათას ორასი მანეთია; როგორც გავიგეთ ამ ხელობას თავს ანებებს და სცენაზე შედის სტატისტად.

იქიდანვე. ქალაქის თვით-მმართველობამ ნება დართო შინაური ფრინველების გამოფენისა აქაურ „საპარასკეოზე“ და მასთან მამლების ჭიდაობაც გაჰმართონ. პირველად იჭიდავებენ დიმიტრი ზოსიმიჩის და „ბივში“ ნიკო ყარამანიჩის მამალი—ივლიანეს ზედამხედველობით.

ოზურგეთი. ერთმა აქაურმა სცენის მოყვარულმა „ასტავკა“ შეიტანა,—ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობას არ მივიღებ, რუსულ დასში უნდა შევიდე, რადგან „ცნობ. ფურც.“-ს კორესპონდენტმა მიკიჟინა,—ქართული ლაპარაკი არ იცისო.

— ქალაქის მოურავს აზრადა აქვს შეუკვეთოს რამდენიმე ნავი, რადგან უნაოდ სიარული ჩვენს ქუჩებზე შეუძლებელია წვიმა-ავდარში.

განცხადებანი.

კამბეჩოვანის ქალაქი. ამით ვაუწყებ ჩემს მრავალ-რიცხოვან პაციენტებს, როდესაც ჩემთან საექიმოდ მოდიოდეთ (მაშ, სხვაგან სად წავლენ, როცა გზა არსაითა აქვთ?) ცხვირის ნესტოები ბანბებით გამოიტენეთ და თვალებზედ ბუნდოვანი სათვალეები გადაიცვით, თუ არ გინდათ იყნოსოთ და იხილოთ ის უსუფთაობა და ჭუჭყ-ყარტლი, რომელიც ავადყოფების საშინჯს ოთახშია და ინახება ბაცილების გასამრავლებლად და ჯერ კიდევ პასტორის და კოხის მიერ გამოუკვლევარის ბაქტერიების აღმოსაჩენად. ვიდრე ჩემთან შემოსვლის ჯერს ელირსებოდეთ, გარედ მიბრძანდით, სადაც ერთი ძირ-გავარდნილი სამფეხა სკამი ტოკმარიკობს და, რომ ამ სკამზედ ყურთა გლეჯა არ მოგიხდეთ, მოწყალედ ნებასა გრთამე თან მხარ-იღლივ ჩამობმული სკამი იქონიოთ ხოლმე, რომ ქანცი არ გაგიწყდეთ ფეხზედ დგომით; აგრეთვე ზამთრობით ნებასა გრთავთ თან მაყალიც მოიყოლიოთ, რომ სიცივით არ გაითოშნეთ.

ექიმბაში ფულიანცი
(3—6—15)

ბატონებო, ვინც არ მიცნობთ,
უეჭველად გამიცანით;
„რეჩები“ მაქვს სულ ცხელ-ცხელი,
თავოსნობა ვიცი გულით!
იაფად ვყიდი სამშობლოს,
(არ დამქოლოთ კია ქვითა),
არა ვზოგავ ქართველობას
ჯაშუშობით, მიპარვითა.
ვისაც გსურდეთ მათი ყიდვა
იკითხევით ტ—რშია.
ლაპორტები გამოგზავნეთ
იმ თვის შვიდში ან რვაშია.
(100—1—99)

ახალის ოსტატობის კურსები.

დაარსდა ფრიად ხელსაყრელი კურსები პლაგიატობისა ანუ ლიტერატურულის აწაპნისა. დამაარსებელი ბრძანდება უებრო ოსტატი ამ საუცხოვო ხელობისა, ბერძენთა პედაგოგი ქარხანიძე. სწრაფად და ადვილად ასწავლის მაკრატლით ამოჭრას სხვა-და-სხვა წიგნებიდგან, ამ ნაკუწების მიწებებას ერთმანეთზე და სახელმძღვანელოების კეთებას. ერთს კვირაში ყველას სავსებით ოსტატებს და თვით უკანასკნელს უვიცსაც-კი ჩინებულ პლაგიატორად აქცევს. ჯილდოდ სჯერდება სამ წილს გაკეთებულის სახელმძღვანელოების შემოსავლიდან, მეოთხეს-კი უწყალობებს თავისს ნაშეგირდალსა. ადრესი: უპატრონოთა ქუჩა შენობა, უებრო ოსტატი პლაგიატობისა ქარხანიძე.

(1—0)

რედაქტორ-გამომცემელნი ია ერაძე
გოგია სიკინჭილაძე.

განცხადებანი

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველოვბის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

„GRAND PRIX“
PARIS 1900
Т—во Высшей
парфюмеріи
А. Ралле и К°
„Махровая Сирень“

საკოსმეტიკო მასალა
БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებულეს კარის ვაჭ

Pasta Eugènie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა Eugènie თეთრი, ვარდის ფერიდა რაშელი, მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ლაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშინიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა. ფასი 1 მ. 50 კ.

Flizir-Mélange წყალივით სახმარია თმის ასაზრდელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. სინაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ქინაქინ-გლიცერინის-მიერი (თმის საცხებელი პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

საღებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკის ფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო ფერს და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მ.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რის-გუტმანი) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს მსწრაფელს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რის-გუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებს, ძირიან-ფესვიანად. ფასი ფლაკ[illegible] ხოც-

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. საათთ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—30)

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 111, an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.

(50—12)

გამოვიდა და ისყიდება

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს დართული აქვს 7 ნახატი, შეიცავს 124 გვერდს და ღირს 40 კაპ.

ისყიდება: ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან (ელისაბედის ქ. № 38) და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (15—9)

მოკლე დროში დამთავრდება და გამოვა გასაყიდათ ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

სურათებით, წინასიტყვაობითა და ვრცელის ლექსიკონით.

წიგნში მოთავსებული იქნება აგრეთვე ოთხი სხვა-და-სხვა სურათი ავტორისა. წიგნი იბეჭდება კარგს ქაღალდზე და ეღირება შედარებით იაფად.

(5—უ—5)

კოკორი ანუ ანბანი

და პირველი საკითხავი წიგნი,

სახლობაში სახმარებელი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის-მიერ, ახლად დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების-მიერ და ისყიდება ამ საზოგადოების მაღაზიაში. ფასი ორი შაურია ვინც ათზე ნაკლებს არ იყიდის, თითო წიგნი მიეცემა 8 კაპეიკად, ვინც ოცობით იყიდის, 7 კაპეიკად დაეთმობა წიგნი.

(6—6—5)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1903—1904 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი; 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა სანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სეკდემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექდემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში:

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე,

Дозволено цензурою, Тифлисъ, 6 сентября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი ზ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. ხარაჯიშვილი.